

50 გ.

9932.



ორი მოკავშირე.

184

S. Nadareichvili



№

51

1920 წ.
ნოემბრის 28

ნერა ვინ აჯობებს,
არ ვიცი ვინ ვაქო:
ლენინს აზრული სურს
ქემალს უნდა ბაქო!

ლადოს ჩსოუნას

„ბოლოს შეჰყარნეს მიწამან
ერთგან მოყმე და მხოვანი“.

ჩვენი უურნალის ფურცლებს არ სჩვევია
გლოვა და ცრემლები.

მაგრამ დღეს ამ სიცილის სამეფოში მოულო-
დნელად შემოიჭრა დაუძინებელი მტერი—ტირი-
ლი—და უბრძოლველად დაიპყრო მისი პირველი
ფურცელი.

და აი, იმათ, ვინც ყოველსავე მწუხარე-
ბასა და უბედურებას ღიმილით ხვდებიან და ღიმი-
ლითვე ებრძიან, დღეს თავის თავს უდალატეს:

— ვეღარ „დაუცავთ სტილი“ და თავადაც
ცრემლებსა პლვრიან სხვებთან ერთად.

სამშაბათ საღამოს ჩვენ წინ გვედო ძვირფასი
ლადოს შარე და ამ ნომრისთვის ვამზადებდით.

და სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ ვფიქრობ-
დით უწყინარის ღიმილით მეგობრულად დაგვეცი-
ნა ლადოსთვის, ჩვენზე დაუნდობელი და ძლიერი
იუმორისტი, სიკვდილი, თურმე ფეხაკრეფით ეპა-
რებოდა მას.

ჩვენ მხოლოდ ლადოს ვუპირებდით ტკბილად
და მეგობრულად დაცინებას.

სიკვდილმა კი მწარედ დასცინა მოელს საქა-
რთველოს.

ჩვენ გვინდოდა ყველასათვის საამო და სასა-
ცილო შარე მოგვეთავსებია ჩვენს უურნალში.

სიკვდილმა კი ყველასათვის საზარელი და
გულმოსაკლავი შარე დაამზადა:

— უსულო ლადო! მკვდარი ლადო!

განა შესაძლოა, მართლა, წარმოვიდგინოთ
უსიცოცხლო ლადოზე უფრო გულმოსაკლავი და
საზარელი რამ?

— კაცი, რომელსაც ათასი სხვა და სხვა გვარი
სიცოცხლე გადაუშლია ჩვენ თვალ-წინ დღეს თვით
სიცოცხლეს მოკლებულია!

უსულო გახდა ის, ვისაც ათასი კაცის მრა-
ვალ-ფეროვანი სული განუხორციელებია თავის
არსებაში!

როდესაც ყველას თვალები და ყურადღება
ძვირფას ცხედრისა და ღია საფლავისკენაა მიპყრო-
ბილი, განსვენებულის ღვაწლსა და დამსახურებაზე
ლაპარაკი მნელია. ამას არც ჰუკიქრობს ვინმე.

მაგრამ ამ სტრიქნების დამტერის მხრივ უმა-
დურობა იქნებოდა, სწორედ ახლა, სანამ ლადოს
საფლავი ჯერ კიდევ არ დახურულა, მხურვალე
მაღლობა არ ჩასახოს შიგ იმ დაუვიწყარ წუთე-
ბისთვის, რომელიც ლადომ არგუნა მას და მრა-
ვალს მასთან ერთად ყველაზე უფრო აუტანელსა
და უსიხარულო დროს მათის ცხოვრებისა.

ეს ის დრო იყო, როცა ჩვენ პატარა მოწა-
ფები ვიყავით და ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში
ვსწავლობდით.

ეს იყო დრო „დიადკა“ კრავცოვებისა, „ვო-
სპიტატელ“ ლაბენსკებისა, მასწავლებელ მაშურ-
კოებისა .. ერთი სიტყვით—დრო ქართველ მოწა-
ფეთა ცრემლებისა.

ჯერ კიდევ ყველას ახსოებს, რა იყო მაშინ-
დელი რუსული სკოლა „ტუზემცებისათვის“.

— Повтори: я—русскій, я—русскій, я—
руssкій!

— Я—русскій, я—русскій, я—русскій—
იმეორებდა სულიერათ დამონებული პატარა ქარ-
თველი მოწაფე.

ასეთი სული ტრიალებდა იმ პანსიონშიც, სა-
დაც ჩვენ ვიზრდებოდით, ან უკეთ რომ ვსოდებათ
სადაც ჩვენ ვიყავით დაპატიმრებული, ვინაიდან მე
არც ერთ მაშინდელ საპყრობოებში არ წარმო-
მიდგენია ისეთი ზნეობრივი და სულიერი დამცი-
რება როგორიც იქ იყო.

ჩვენი პატარა გულებიც ისე იყო დახშული
და დაკეტილი, როგორც ჩვენი პანსიონის კედ-
ლები.

სკოლაში ჩვენ არ გაგვაჩნდა არცერთი მფარ-
ველი, არცერთი მოყვარული აღმზრდელი და
ყველა მასწავლებელს მტრულად შევყურებდით
ქვეშიდან, რაღვან ისინც მტრულად დაგვყურებ-
დენ ზევიდან.

ძნელი იყო ჩვენი მაშინდელი ცხოვრება.

პირადათ მე გიმნაზიაში გატარებული წლები
გავლილ ცხოვრების ყველაზე მძიმე დროებათ მი-
მაჩნია.

და აი, ამ დროს, ჩვენს მოკლებრულ ცაზე
იელვა ბრწყინვალე ვარსკვლავმა.

ეს ვარსკვლავი იყო ლადო მესხიშვილი.

მან გვაზიარა პირველად ხელოვნების ნამდვილ
წყაროს.

მან შეგვაყვარა ის, რაც სკოლაში უნდა შე-
ეყვარებინათ ჩვენთვის და გვაძულებდენ კი.

ლადო გახდა ჩვენი კერპი, ხოლო ქართული
წარმოდგენა ლადოს მონაწილეობით ნამდვილი
სიხარული, სიხარულს მოწყურებულ ბავშვებისათვის.

რამდენი ცრემლი — ლადოს მიერ დახატულ
გმირთათვის!

მაგრამ ეს ცრემლები არ ჰგავდა გიმნაზიის
ცრემლებს.

რამდენი უძილო ლამე — ლადოს წარმოდგენე-
ბის შემდეგ!

ეს უძილო ლამეებიც არ ჰგავდა პანსიონის
სხვა უძილო ლამეებს!..

ყველა მოწაფე თავის სამაყო მოვალეობათ
სთვლიდა, ქუჩაში ლადოსთვის სალაში მიცემას.

— დღეს ლადო შესხიშვილი შემხვდა! შემომხედა, ბიჭ! ქუდი მომიხადა!

ეს ხომ უბედნიერესი დღე იყო!..

ლადომაც იცოდა ჩვენი მოპყრობა.

მარტო მისი შემოხედვა რად გვიღირდა!

ისე მოგვეფერებოდა და დაგვიყვავებდა თვის მშვენიერი თვალებით, თითქოს გულში ჩავეხუტებინეთ და თავზე ხელი მოესვას...

ლადო შესხიშვილმა გაუჩინა ჩვენს უფერულ ცხოვრებას აზრი და მიზანი ..

ამისთვის ვაწუხებ ჩემი საყვარელი ლადოს ძეირფას ცხედარს და უაღრესი მაღლობის გრძნობით მუხლს ვიღრევ მის წინაშე.

ეს მაღლობა მიიღოს მან იმ პატარა მოწაფი-

საგან, რომლის გული და სული დაიპყრო იმ დროს და სიხარულით აუცხო...

და მის მაშინდელ მხანაგებისაგან.

პატარებმა იციან ცნობა და დაფასება დიდი ნიჭისა!

„აღგირებ შენ უფალო, რამეოუ დაპფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ჩჩილთაო“, ამბობდა ქრისტე.

მართალია, ლადოს ნიჭი „ბრძენთა და მცნიერთათვისაც გამოცხადებულია“, მაგრამ ისეთი სიყვარული და პატივისცემა, როგორც ჩვენ გვიყვარდა ლადო და პატივს ვცემდეთ მას, მხოლოდ „ჩჩილთ“ შეუძლიათ.

შალვა შარაშიძე.

ა მ ი ს ა მ პ ე პ ი.

ჩერილი II

VI. მანიფესტი.

ჩვენი მოლოდინი სახეებით გამართლდა. ნათლად გამოირკვა, რომ ფუტურისტების ბელადს, პაოლო იაშვილს, სრულიდაც არ უნდოდა თას მარ მეფე ცოლად, გამოირკვა რომ ის კაროვნითაც სრულიად კმაყოფილი იქნებოდა, რომ ეს ქამანდა მან ვითომ „სიგიური“ გადმოისროლა, ხოლო ნამდვილათ კი ფუტურისტებს ჩვენთან ომის ატეხა უნდოდათ.

ფუტურისტები, ანუ ქართულად ყანწისტები პოეზიის ბოლშევიკები არიან. ეს აშკარათ სჩანს მათი ე ი. ბოლშევიკებისა და ყანწისტების ურთიერთ განწყობილებიდან და იმ ისტორიული შეგვებიდან, რომელზედაც ქვევით მოგახსენებთ.

როგორც ბოლშევიკებს „ბათუმის გაყიდვის“ მომიზეზებით საქართველოსთან ჩხების ატეხა უნდათ, ასევე ფუტურისტებმა თამარის მითხვების მომიზეზებით საბაბი იშოვნეს ჩვენთან ომის გამოცხადებისა და საკმარისი იყო ჩვენი სრულიად ზრდი ლობიანი კილოთი გამოთქმული უარი, რომ ფუტურეთი ყალხზე დამდგარიყო.

ტიციან I (ტაბიძემ) მყისვე გამოსცა მანიფესტი, სადაც სხვათა შორის ამბობს:

„მალარმე და კანტი დაარბევენ მონგოლეთის ჩალმებს — (იგულისხმეთ „ეშმაკის მათრახი“) ახალი ვიზიონერობა გაურჩმავებს მათ ვიწრო თვალებს; როგორც საღმანასარი გაიარს აზიაში რობესპიერი და ჩამავალ მზეზე გაბრტყინდებიან გილიოტინები“. მკიოხველი მშვენივრათ ხედავს, თუ ვისზე მყარებენ თავის იზედებს ჩვენთან ბრძოლაში ადგილობრივი ფუტურისტები! როგორც ადგილობრივი კომუნისტები, ისინიც გარეშე ძალაზე ეყრდნობიან. ისინი უმბობენ დასახმარებლიად მალარმეს, კანტს, რობესპიერს. ისინი აპირობენ ჩვენთან ბრძოლას გილიოტინებით.

მანიფესტი, ცხადია, მობილიზაციის ნიშნით უნდა გიგალისხმოთ.

VII. მტრის ონეგბი.

როგორც მანიფესტიდან დაინახავთ, ჩვენდა თვალის ასახვევათ ფუტურისტები თითქო მონგოლებთან საომრად ირაზმებიან, რათა მუსრი გაავლონ იმათ ჩაღმებს.

ამ ონბაზობის დასამალავათ, ერთი ბელადოვანი, ნიკოლოზ მიწიშვილი სწერს:

„ჩვენი სიძლიერე იმაშიაც არის, რომ ჩვენი ბერიადა*), რომელზედაც ავმართეთ ნათელი ჯვარი პოეზიის მართლმადიდებლობისა ერთი თავით ებჯინება ტიბეტს, ხოლო მეორეთი პარიზს“.

იგივე დიპლომატი, ცოტა ქვევით, კიდევ უფრო ხლართაგს საკითხს და ცდილობს საბოლოოთ ავგიბიროს დავთარი ის სწერს:

„ჩვენ აქ (საქართველოში) ვეძებთ მტრებს და ვერ ვპოულობთ. ხშირათ კიდევაც ვქმნით ასეთებს და როგორც დონ კიხოტები ვებრძებით ქარის წისქვილებს. შეიძლება ეს იყოს ჩვენი ირონია საქართველოზე და საკუთარ თავზედაც“.

ხედავთ სად ეუბნებიან! რა შორს გადაუკრეს?.. ვერ მოგვატყუებთ!

აი ჩვენი პასუხი ამ ონეგზე. ქარის წისქვილებთან ბრძოლით ფონს ვერ გახვალთ, მოწყალენო ხელმწიფებრი, და ირონიასთან ბრძოლას ამ ერთი ინციდენტით ვერ გაათავებთ.

ჩვენ პირველ წერილშივე (იხ. „ეშმაკის მათრახი № 49) აღნიშნეთ, რომ თავს არავის ვესტმით. დღესაც ამავეს ვიმურობებთ და დავსძენთ, რომ ჩვენი ომი თავდაცვითი ომია. ამიტომაც ფუტურისტების სიტყვიერ განცხადებებს ჩვენ ვერ დავეყრდნობთ. ჩვენ რასაცირველია მოხარული ვიქებით, თუ ისინი მართლა მართლმადიდებლური ექსტაზით არიან აღკურვილნი და მონგოლეთის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომს აწარმოებენ ჩაღმე-

*.) ფუტურისტები თვითან ორგანოს შეცდომით „ბარიკადებს“ უძინებ და არა ბერიადს.

ბის შესამუსიავად, მაგრამ ამასთან ერთად ნურს უკაცრავად თუ ჩვენ მზათ ვიყოთ საჭირო დროს წინააღმდეგობის გასაწევათაც, უკეთუ მუხანდი მტერი მოიგუნებებს და თავს დაგვესხმის.

ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ უტყუარ გარანტიას და არა უბრალო დიპლომატიურ ქამანდებზე აგებულ სიტყვებს.

VIII. თივაში ცეცხლი..

ჩვენი მოსისხლე მტრები, ფუტურისტები, მუდამ თავის „ცეცხლზე“ გაჰკივიან და ის კი დაავიწყდათ, რომ თივაში ცეცხლი არ დაიმალება... არ დაიმალა ეხლაც.

როგორც მოგახსენეთ, ტაციან I-ის (ტაბიძის) მანიფესტი ნიშანი იყო მობილიზაციისა, რომელსაც ფუტურისტები, როგორც სირაქლემა თავს, მაღავდენ.

მაგრამ აი ცნობილი გიორგი ლეონიძე, (არა-ფერი ნაჯესავი არ არის „სამშობლოში“ მომქმედი ლეონიძისა) ააშეარავებს თავისიანების ზრახვებს და „ბერიკადების“ მესამე ნომერში სწერს:

„გრიგოლ რობაკიძე, რომელიც არის დროშა და მხედართმთავარი, ყუმბარასავით გასკდება...“

აქედან ცხადათ სჩანს, რომ მტერს უკვე მთავარსარდალიც აურჩევია და აურჩევია ისეთი, რომელიც „ყუმბარასავით გასკდება“. ჩვენ ეს რდნავაც არ გვაფიქრებს, ვინაიდან თუ გასახეთქია, ის მტრის ბანაკშივე გასკდება.

ეს კიდევ ცოტაა! „ბერიკადების“ იმავ მესამე ნომერში, ვიღაც უსახელო აეტორი მოწინავე წერილისა შემდეგ საგულისხმიერო სიტყვებსა სწერს:

„თავდადებულ გვარდიას და გამარჯვებით შემოსილ ჯარს წინ გაუძღვება (ფუტურისტი) პოეტთა ძაბილი—ტრაპიზონში უსათუოდ!“

ტრაპიზონი აქ თვალის ასახვევათ არის ნახმარი, მაგრამ ჩვენთვის. უმთავრესი მნიშვნელობა მტრის ორგანიზაციის აქვს. როგორც ეტყობა „ყანწისტები“ (ფუტურისტები) ორგანიზაციების მომხდრო როგორიზაციის მომხდრე ყოფილან: გვარდიას და რეგულიარული ჯარისა. ამ ცნობას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მტრის ორგანიზაციის გაგება თითქმის ნახევარ გამარჯვებას უდრის.

IX მთავარი „გვარდიელები“

„გაიცან მტერი და გამარჯვება შენია!“ სოქვა ერთმა სამხედრო გენიოსმა.

სრული კეშმარიტებაა.

ჩვენს წინაშე სძეებს საუცხოვო დოკუმენტი ჩვენი დაუძინებელი მტრის მთავარ-მთავარ გვარდიელთა შესახებ. დოკუმენტს ხელს აწერს ფუტურისტთა შორის საკმაოდ ცნობილი ტრისტან გაჩამელი და მოთავსებულია იგი მტრის ოფიციოზ „ბერიკადების“ მესამე ნომერში. მოგვყავს ეს შვიათი დოკუმენტი სიტყვა-სიტყვით.

„გრიგოლ რობაკიძე. უძილო ღამეში ფიქ-რობს. მის წინაშე ფეხში შველა¹⁾ რითმები დარბიან. მას ელანდება სააკადე²⁾ ლექსებს მარმარილოს ტილოზე სწერს. ხმა მაღლა იმეორებს სიტყვებს, თოოქოს საცერმი სცრი-სო.³⁾ მზე რო ამოვა გადიხურავს საბანს. მის აივანზე ვიღაც დადის. იქნება ეს ჭინკა არის.“

პალო იაშვილი. ქიმერიონში ზის. ტუ-ჩებს ენით ისწორებს. ლექსებს სწერს, როცა ჰაერი ადულებულია. კალმისტარი და მელა-ნი⁴⁾ უფრო ადელვებს, ვიდრე ფანქარი. შეი-ძლება გენიოსია შეიძლება უბრალო მოშიორე. დაუღალავი აქტიორია და რამდენიმეთ ნე-რონიც არის.“

ტიციან ტაბიძე. ორსული ქალივით ჭი-რვეულია. არავინ იცის როდის სწერს ლექ-სებს. ხელი ლამაზი აქვს. ერთხელ მის ბინაზე არჩილ მიქაძეს ზარგალი და სათვალეები დაე-კარგა. გრძელი თითები აქვს⁵⁾.

კოლაუ ნადირაძე. კარი გაღებული აქვს. მას ზამთარი უფრო ახელებს, ვიდრე ზაფხული. ლექსებს სწერს ბლუზაში, დახეულ ფეხსაცმელებში პაქმანის შემდეგ. გაზეობს არ კითხულობს.⁶⁾ მის მაგიდაზე არის შუშა და შუშაში მკვდარი ბავშვი. მის ოთახში აგრეთვე ბერი იოფებია.“

სანდრო ცირევიძე. მისი სახლი რიონის პირად სდგას. კედელზე მალარმები და მისი მამის სურათები უკიდია იწუხებს ურიების შე-ზობლობა. ყავს წითელი ძალი, რომელიც მუდიშ უყეფს ვალერიან გაფრინდაშველს. მის ეზოში ერთხელ დედალმა დაიყივლა. სანდრომ დედალი დაკვლევინა, შესწვა და შესჭამა. სწერს ნაშუადლევს და ჰერა ბელურას.“

ვალერიან გაფრინდაშვილი. წვიმიან დღეში არა სწერს. ლექსის დაწერისათვის სკირდები სითბო. თუ დამაგა სარკეს გადააბრუნებს, რომ ორეულმა არ შეაშინოს. ლექსის გათავებას დილისითვის გადასდებს ხოლმე

ლელი ჯაფარიძე. ლექსებს სწერს ინ ქალაქში, ან სოფლად, ან სხვაგან სადმე. კარგი ლექსის დაწერა არაფრად უღირს. თუ უშუალოა და მისი ცხვირი არ მოსჩანს ლექსის წერის ქუჩაში იწყებს და სამზარეულოში ათავებს.

1) ცხადია მარტო საბჭოთა ჯარები არ ყოფილა ფეხშიშველი! 2) ოპო! 3) ცხადია რობაკიძის წინაპრები მეღურნეები ყაფილან. მაგრამ ეს მომარაგების მინისტრი მუდამ უსაცერობას წუწუნებს და თუ ეს მარტალია რისთვის არ ჩამოართმევს ყანწისტებს ამ საცრებს?

4) უხმება მეტის ცეცხლისაგან. 5) მეღლანი ალბათ ღვინოს აგონებს. 6) მეტადრე სალოკი და შუა თითი. 7) ცხადია გარდა „ბერიკადებისა“.

ი დაახლოებით მოკლე შინაარსი იმ დოკუ-
მენტისა, რომელზედაც ხელი ტრისტან მაჩაბელს
უწერია და რომელშიაც დასურათხატებულია უ-
თავრესი გვარდიელნი ყანწისტებისა.

ჩვენმა კონტრ რაზვედკამ განსაკუთრებული
უკრალება მიაქცია ორ გარემოებას:

ა) რა დანიშნულება აქვს იმ შუშას, კოლაუ-
ნალირაძის საწერ მაგილაზე, რომელშიაც მკვდარი
ბავშვი სძვრს და

ბ) რა გვლენა იქონია სანდრო ცირეკიძეზე
იმ მყივანა დედალმა, რომელიც მან დაკვლევინა
და შესჭიმა.

საინტერესოა აგრეთვე რისთვის უყვეფს სან-
დრო ცირეკიძის წითელი ხალლი ვალერიან გაფრინ-
დაშვილს და ვინ მოიპარა ტიციან ტაბიძის ბინაზე
(ვარდისუბანის ქუჩა) არჩილ მიქაძის შარვალი
და სათვალეები. ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით პაოლო
იაშვილის მიერ ენით ტუჩების სწორების შესახებ.

ერთი სიტყვით ცოტად თუ ბევრად ჩვენ ვი-
ცით ვისთან გვაქას საქმე და რას წარმოიღენს ის
„გვარდია“ რომლითაც „ყანწისტება“ თითქო ტრა-
პიზონის აღებას ეპირებიან. და ნამდვილათ კი
ჩვენს წინააღმდეგ ირაზმებიან.

ისტორიკოსი.

(შემდეგი იქნება).

დუქლი ვილსონია *

ვინც ხმელეთის ოქროს კალმ
მის ხულაში დაიგროვა,
ვისაც იცავს დედა მიწის
მევახშეთა მთელი ხროვა;
ვინაც კერძო ჯიბის გარდა
ინტერესს და საქმეს არ ცავს,
ვინაც თმის და წვერის გარდა
ულვაშებსაც კი იპარცავს...
ქართველისთვის სირცხვილია
ამგვარ გმირებს შეებრძოლოს,
მაგრამ მანც დუელს ვითხოვ,
ვეღარ ვითმენ შე ამ ბოლოს.
მისტერ ვილსონ! „თორმეტ მუხლში“
წვრილმა ერმა ნახა ბინა ..
(თქვენ საცნობად რაკი გავხდით
ღმერთმა ისე წაგვახდინა)
მოიგონეთ რუსეთისთვის
ბოლონდელი თქვენი ნოტა,
ძველ ფარგლებში მის აღდგენის
იაღლიში კი ხართ ცოტი!
ნუ თუ ასე დაგვავიშუდათ
რაც დაპირდი ამ წვრილ ერებს?

*) ავტორისა და მკითხველის საყურადღებოდ ვაცხა-
დებთ, რომ ეს ლექსი რედაქციამ 17 ნოემბერს მიიღო და
უფრო ადრე არ შეეძლო დაეხეპდა.

ნუ თუ თქვენი ბრძნული სიტყვა

საქმეს აღარ შეიფერებს?

სომხეთი თუ კი იცანი

ქართლმა რაღა დაშავა?

სირცხვილი და უმართლობა

ამას იქით საღლა წავა?

შეიძლება პრეზიდენტმა

ისტორია არ იცოდეს,

კოლუმბი რო მის წინაპრებს

ქამანდებით სდევდა ადეს.

ამერიკის ულრან ტყეში

კოლუმბი რომ გზს ვერ იგნებს,

მაშინ ჩვენი ვახტანგ მეფე

კანონების სწერდა წიგნებს.

მეცნიერთა შეცნიერმა

ამერიკა რომ მონახა,

მაშინ ყოფნა ჩვენმა ერმა

თამარ-მეფით გამოსახა.

დღეს რომ გვჯობნით, მომავალში

ვერ გაიტან ამით ლელოს.

და წარსულზე თქვენს შეგობარს,

ჰკითხეთ თუ ვინ უ ვენიზელოს.

თორნიკე და მისი ჯარი

ქართველთ ზე და სულის ჯიში;

(დაწვრილებით შეგიძლიათ

რომ მიიღოთ ანგარიში)

ერეკლე და საკაძე

მურმან ყრუ და შახაბაზი;

ფიდრის პირველს თუ ენდობით

არ გახრილა ბრძოლის ხაზი.

ამის შემდეგ ჩვენმა ერმა

რაც წამება გადიტანა,

და დღეს კიდევ რაღაც ძალით

ხალხის არის ეს ქვეყანა.

და ვილსონმა უველა აზი

ვერ შეიტყო დღემდის განა?

ცნობის ლირსად არ ჩასთვალოს

კაცმა ხალხი ამისთანა?

მარა ჩვენში წითელ ღროშის,

ვეღარ ბურავს ძაბა-ფლისი.

ქვეყნის ბატონ პატრიონია

მურმელი და მუშა კლისი.

მარა კარგი, უველაფერს რომ

ამას თავი დავანებოთ,

და ეს ხალხი თქვენებურა

ტკილი სიტყვით გამოვკვებოთ —

ჩიხერინს თუ ქართველების

არსებობა მტკიცეთ სჯერა,

ჩვენს ეროვნულ განმტკიცებას

თავის ხელი მოაწერა —

მთელი ერის ბედის წერა

რა ნება გაქვთ თქვენ წაშალოთ?

ძველთა ძველ სა ხალხს და ქართველ

გარუსება დაგვაძილოთ?

ისტორიაშ რაც გვარგუნა
თქვენ საეჭვოდ გაგვიხიდე.
ამას ისე ვერ შეგარჩენ
თუ დუელში არა გციდე.
თუმც მუშტითაც კაროლი ხარ,
იგი მეც ქე შევისწავლე.
როცა თქვენი „ნიორკიდან“

მექსიკამდე ცხენით განვლე.
ვაღალ ვნიშნავ პირველ მაისს,
ქალაქ ლონდონს ბრძოლის ველად,
სეკუნდ.ნტათ ტომას შოუს
ბრძოლის წესის დასაცველად.

ბუტჭნა



„უ პ ლ ა ტ ნ ე ნ ი ე“

დაილოცა ღმერთო შენისამართოლი!.. თურ-
მე ყველაფერს გაიგონებს კაცის წყური!..

კაცო, ხალხნო, გესმით რა ამბავია?!. გესმით
ეს რა „ვტორო პრიშესტვია“ ჩვენ თავზე?!.

აზობენ, როგორც ბალშევიკებმა მოახდინეს
რუსეთში „უპლატნენე“, ისე ჩვენ პრივიტელ-
სტვასაც უნდა რომ აქც შამოიღოს!!!

ახლა არ იტყვით რა არის ეს „უპლატნენიე!“
თურმე კვარტირები რომ ბევრი არ დაგჭირდეს
და შეშაც არ დაგეხარჯოს, აიღებენ და შამოგი-
ყრიან ოთახში: ყველა ვიგინდარას, ქუჩის მაწან-
წალას, თათარს, ურისს, სომებს, ქართველს, ლე-
მენცს, ქალს, კაცს, ახალგაზდას, საკალბასე ბე-
ბერს... ერთი სიტყვით ყველას დომხალივით აუ-
რევენ, რომ რაც ბევრი იქნებით ერთად სარდინკა
სავით ჩაწყობილიო, უფრო გათბებითო და კვარ-
ტირაც და შეშაც ცოტა მოგინდებათო!

ვა, ვა, ვა, ვა!.. აფსუს დროებაც, აფსუს როს
გორ ჩატიალდა საქმე!!.. კაცო, რის კვარტირაო,
რის გათბობაო, რის „უპლატნენიეო?!.“ როგორ
ჩემ დედა-კაცს ვის მიუყენებ გვერდში საუპლატ-
ნენიოთ, ხომ არ გაგიუდით ხალხნო?!. ესაა თავი-
სუფლეაა, ესაა სლაბოლნობა, რომ კურომოზერე-
ბივით ერთმანეთში ავირიოთ?!. აფსუს კეკელ,
თურმე იმისთვის მიხელია დუხ-ლადიკალონებით,
რომ ვიღაც ვიგინდარას შევაწუხებიო საუპლატ-
ნენიოთ!.. მაშა, მაშა!.. სულ მაგ ჭკვაზე დავდი-
ვარ რაღა! მაშ მე ვირი ვყოფილვარ, მაშ მე ტვი-
ნის ვასპალენიე მქონია და ვეღარა გამიგია რა!..
არა, არა, ეგრე არა სწირავს ჩვენი ტერ-მიკიჩი!
თუ არა და ჩემ დედა-კაცს რა აქვს საუპლატნე-
ნიო?!. მე შენ გითხრა ზოგიერთი ქალებივით სკე-

ლეტია ა! არა, ის ძალიან პლოტნი მყავს და
არავის ვეხვეწები იმის კიდევ უფრო გაპლოტნე-
ბას. დედა-კაცს შახედო ბრანიროვანი პოეზიი გე-
გონება. თითო იმისი წვივი სულ სლაბოლნათ ეყო-
ფა მელიქ-ნაზარიანცის შენობას სტოლბათ რომ
შაუყენო და ნეუჟელი იმას კიდევ პლოტნობა
სჭირდება?!. არ ვაცი... რას ფიქრობს ეს ჩვენი
პრავიტელსტვი! ესაა, კაცო, სლაბოლნობა, ესაა
ხელს ვერავან გახლებსო?!. ხელის ხლება კიდევ
ჯანაბას, ნიჩაო, პუტიაკ... საქმე ის არის რომ
უფრო გლუბოკათ მიღიან და!.. გინდა თუ არა
ქვეყანა უნდა მოგვიწვინოთ რომ გათბეთო!!.

კაცო, როდის შამოგითვალეთ რომ შეშა
გამომიგზანეთ მეთქი, როდის შეგვეხეწეო რომ
გამათბეთ მეთქი! ჰო... ეს ზაქონი! რომ ჩემ ხალა-
სტოვნბაში გამოსულიყო კიდევ ჯანაბას, მაგრამ
ეხლა, როცა სამი თვეა ჯვარი დამიწერია, ჯერ
სიყვარულის ლუბოვი არ გავვითავებია. მამა უც-
ხონდებათ მაგ ჭკვაზე ვარ რაღა! ვაი აფსუს გეურქ!
არა ძმაო, მე ჩემთვის სახლიცა მაქვს, შეშაცა მაქვს,
პლოტნიცა ვარ, ჩაპლოტნებული დედა-კაციცა
მყავს და არავის ვეხვეწები ჩემს პაკრავიტელო-
ბას!..

გოგი



დ ე ზ ე ს ტ ი ს ე ბ ი

ხშირათ ისეთი აღამიანი გილალატებს ხოლმე ვისგანაც არაფერს ამისდაგვარს არ მოელი.

ასე მოუვიდა სახალხო გვარდის ბათომის შტაბს.

ვინ არ იცის თუ რა ძნელი შესადგენია გვარდია. ათ ჯერ უნდა გაზომო და ასწონო ესა თუ ის პიროვნება, სანამ მას გამოდიაში მიღებდე. გეშინია ვაი თუ არ გამოდგეს გვარდიელობის ლირსი და შევვარცხვინოსო.

უნდა ესთქვა მართალი, რომ ბათომის შტაბი მუდამ ხელმძღვანელობდა ამ საღ მოსაზრებით და ამიტომ მეც შტაბთან ერთად დარწმუნებული ვიყავი, რომ ბათომის შტაბს დეზერტირი არ ეყოლებოდა.

ყოველ შემთხვევისათვის, გული რო დამემ-შვიდებია მესამე დღეს ათი დღის ვარჯიშობის აღ-ლუმის გამოცხადების შემდეგ ვეწვიე შტაბს ინ-ტერვუის გასაკეთებლათ.

წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა ლა-ლი დოლბაია, შტაბის თავმჯდომარე, მეტათ მოწ-ყენილი იყო. ვიკტორ ჭედია კი მეტათ აჩქარებით იძლეოდა სხვა და სხვა განკარგულებას, ეტყობოდა რაღაც უსიამოვნოთ იყო, მაგრამ „გარეშე“ თვა-ლისთვის მაღავდა ამ უსიამოვნებას.

— რამ მოგაწყინათ, ბ-ნო ლადი! მივმართე მე თავმჯდომარეს ჩვეულებრივ ზრდილობიანათ. დარწმუნებული ვარ ვარჯიშობა კარგათ მიღის და დეზერტირი არ აღმოჩენილა.

ლადიმ ჩვეულებრივი ჩუმი შემპარავი ღიმით ჩაიკინა ულვაშებში; დაუკვირვებელი კაცი ვერც მიხვდებოდა. მე კი კარგათ მაქვს შესწავლილი ლადის ღიმილი და მაშინვე ვიგრძენ, რომ რაღაც უსიამოვნოს მეტყოდა.

— ვარჯიშობა კარგათ მიღის ბატონი გრი-გოლი—დაიწყო მეგრულათ ლადიმ, მაგრამ და-ლიატს საღაც არ მოველიოდი იქ ვნახეთ.

— როგორ, ნუ თუ დეზერტირები აღმოჩნდა ბათომის გვარდიაში?

— არა, იგი თუ გინდა ქალია, მაგრამ...

— როგორ, თქვენ ქალიც გყავთ გვარდიაში?!

— როგორ არა: მის სნოუდენი და გიუსმან-სის ქალიშვილი. ორი ქალი გვყავს და ორივე დე-ზერტირებია, არ გამოცხადნენ ვარჯიშობაზე.

— ქალები არაფერია, ჩემო ლადი, კაცები თუ კი არ დეზერტირობენ.

— კაცებიც აბა!

— მერე და როგორ მოგივიდათ ასეთი საქმე. აյი მიღებისას ისე ფრთხილათ ეპყრობით საქმეს.

— რა სიფრთხილე გვინდოდა, ჩემო გრიგოლ! ყველა გამოჩენილი სოციალისტებია, გიუსმანსი ინტრაციონალის მდივანია.

— გიუსმანსიც ჩაეწერა გვარდიაში?

— ყველა, კაცო, სულ ყველა: ვანდერველდე, დე-ბრუკერი, მაკონალდი, შოუ, ინგელსი, რე-ნოდელი... ყველამ დიდი სიამოვნებით მიკრა გულზე გვარდიელის ნიშანი და ახლა ათი დღის ვარჯიშობა რომ გამოვაცხადეთ ყველა გაიპარა.

— კი მარა, კაცო, ვანდერველდე უკვე მო-ხუცია...

— შენგან არ მიკვირს, გრიშა ჩემო! გაცხა-რებით შემომიტია ვიქტორ ჭედიამ და დათიკო კუნკულიამ ერთად ხომ ნახე ამას წინეთ „ეშმა-კის მათრახში“ კაუცის სურათი! სულ იარაღში იჯდა.

— არა, პარტიის მანდატიც რომ არ წარმოუ-დგენიათ? ჩაილაპარაკა მდივანში. ვინ აგებს ახლა მათ მაგიერ პასუხს?

— უნდა მივსცეთ საველე სამართალში, შე-მოვიდა წინადაღება და უნებლიერ დაწყებული ლაპარაკი სხდომათ გადაიქცა.

შტაბი შეუდგა მსჯელობას: დაისაჯონ თუ არა სოციალისტური დელეგატები, რომლებ-მაც საქართველოში პირველ საქმეზივე თავი შეირ-ცხვინეს. მე კი შეუმნევლათ გამოვედი გარეთ. რა ვიცი საშიშა მეც მათ სიას არ მიმარიცხონ. სიფრთხი-ლეს თავი არა სტკივა.


გრ. სლუჩაინი.



ქართული დრამა

ეს რა შემოიღეს
ამ ქართულ დრამაში:
დრ გვირას გრძელდება
პიესის თამაში.

რეჟისორები



ალ. წუწუნავა. ერთი, თრი, სამი, თხის!
ერთი, თრი! ერთი, თრი!
შე გასლავარ გვარდიელი,
თანაც—თრი დირგეტორი!

№ 9

0 9 8 1 4 0 6 8 5 0 6 1 6 0

№ 51



—
—
—
—

ალ. ახმეტელი.

აბა, ღეღო-ღეღია! —
შთისმიან ხმანია!
შოდის ახმეტელია —
შთაქვს „ბერდო ზმანია“!
გაჲ, რა საქონელია!
სეზონის „ლუსმანია“.



ბ. ქორელი. (კოტე არის ხმაზე)

მიუვარს შესიჯა, მიუვარს დრამაცა!
მიუვარს მხატვერთა... მაგრამ, დამაცა:
როდის გვედირსოს ჩვენ, რეჟისორებს,
შესაფერისა სმა და ჭამაცა!

რა იქნა ნიჭი?

გაზეთ „ბორბას“ წარმატებო რეცენზიერი ბ. „ვ. ც.“ თავის უკანასკნელ რეცენზიაში ასეთი სიტყვებით აქებს „ღალატის“ დეკორაციებს: „მხატვარ ზალცმანის უნიკო (бესტალანტნია) დეკორაციებს შემდეგ თვალი ისვერებს ამ ძველებურაოდაწერილ დეკორაციებზეო“.

მხატვარ ზალცმანს ქომაგი და მოსარჩევე ეჯავრება და არც სჭირია. ამ როლს ჩვენც არ ვკისრულობთ. გვაინტერესებს მხოლოდ ერთი რამ:

როდის აქეთ გახდა „უნიკო“ ზალცმანის ნაწარმოები?

რამდენათაც ვიციო, მხატვარი ზალცმანი კარგა ხანს მუშაობდა ჩვენს საოპერო ოეატრში და თუ არ ვცდები, დღემდე მას ბ. ვ. ც.-დან, რომელიც აგრეთვე კარგა ხანია რეცენზიენტობს გაზ. „ბორბაში“, ასეთი სათაკილო განსჯა არ მიუღია.

რად მოხდა, რომ პატივცემულ რეცენზიენტს არც ერთხელ კრიტიც არ დაუძრავს ზალცმანის უნიკობაზე, როცა მისი დეკორაციები სცენაზე იდგმებოდა და მაშინ მოაგონდა ეს „უნიკობა“, როცა სხვა მხატვრის დეკორაციები დაინახა სცენაზე?

ამის მიზეზს ჩვენ მოგახსენებთ. მხატვარი ზალცმანი ამ ერთი კვირის წინათ



აკეც ფალავა. ქართველი მსახიობები
ღმერთმა დაწეულოს, ქინიტება!
გედარ გაიგეს, არ იქნა;
ჩემი მეთოდი, სისტემა!
თითო ჰიესას უნდება
ორმოცი რეპეტიცია,
წარმოდგენაზე გამოვჭენ,
გინ სად დგას დარ იციან!

— ბილეთები არის?
— გახლავთ!
— მიბოძეთ. ორი ბილეთი... პლაცკარტებით!

ქართული დრამის კასასთან.

— როგორ თუ პლაცკარტებით?
— დიახ, პლაცკარტებით! ბალიში არ არის
საკირო: თანა მაქვს.

ეფროპაში წავიდა. სხვა აუცილებელ და განუყრელ თვისებებთან ერთად მან თან წაიღო თავისი ნიჭიც. ეს ჩვენ დანამდვილებით ვიცით: ჩვენის თვალით ვნახეთ, ჩემოდანის საიდუმლო კუნკულში რომ დებდა, ბათომის საბაჟოში არ მინახონ და არ ჩამომირთვან, როგორც გასატანათ აკრძალული საქონელი.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქტირ დიდხანს ემუდარა ზალცმანს, დასტოვე, ნუ მიგაქვს, ზოგ თბილისელ გაზეთის თანამშრომელთავის გამოგვადგება, მაგრამ ვერაფერს გახდა. მაინც თან წაიღო იმ ჯიუტმა!

ამისდავვარათ, ზალცმანის დეკორაციების უნიკობა თითონ ზალცმანის საქართველოდან წასვლით აიხსნება.

მაგრამ ეხლავე დავამუშვიდებთ პ. რეცენზენტს: ხუთი თვის შემდეგ მხატვარი ზალცმანი ისევ თბილის დაბრუნდება და უტყუარი ცნობა გვაქვს, რომ თავის ნიჭსაც თან ჩამოიტანს. მაშინ აღნათ პ. კ.-ს „ძევლებურათ დაწერილ უნიჭო დეკორაციებს შემდეგ“ ზალცმანის ნაწარმოებზე მოუხდება „თვალის დასვენება“

კონტრაპუნქტი.


სულათები ქართველ სტუდენტთა უხლოებიდან



დიდი გაი-გაგლახის შემდეგ, სტუმრა თბილის,
თავის ძარღი-ბარხანით კოტე, მოედი სამი თვე, ამხანა გი-
დან-ამხანა დაწარწალობდა, თახის უქონლობის გამო.
დანართან დაწარწალობდა, თახის უქონლობის გამო.
ბოლოს რეგორც იყ, იშვია, მაგრამ გაი იმისთანას შოგ-
ნის: გოტეს დასასხლისმა არც მაგიდა მისცა, არც ტახ-
ნის: გოტეს დასასხლისმა არც მაგიდა მისცა, არც ტახ-
ნის: გოტეს სკამა, არც დამპა და არც ფეხი (გათბოდაზე)
სომ ზედმეტია დამპა) შემცნა გოტეს ზოგიერთი
ნივთების ეფექტი „დეზერტორზე“.



ମେଘନାଥ, ମୁଗନ୍ଧ ମୁଗିଦୀର ମହାଲୟତଳୀକ, ଓଶିଂ
ସର୍ବଜ୍ଞପତ୍ର, କଷମିତ୍ରାନ୍ତିକ—ପଦିକ.



მეორე დღეს კოტე უნივერსიტეტში გამზიავნა.
დაუწევთ განცხადებებს თვალისწინება. აღმოჩნდა, რომ
ერთი დაწია იგიონება ასახტასის ქუჩაზე; მეორე სერ-
ვის მიზანის ქუჩაზე, მესამე უნივერსიტეტში და მეორე და-

დი მთავრის ქუჩაზე. მიიღინა ჭერ ანასტასიევის ქუჩაზე,
დი მთავრის ქუჩაზე. მიიღინა ჭერ ანასტასიევის ქუჩაზე,



ପ୍ରଦୀପ କାନ୍ତିଲେଖନ ମହାନାଥ ପାତ୍ରଙ୍ଗ ପାତ୍ରଙ୍ଗ ପାତ୍ରଙ୍ଗ
ପାତ୍ରଙ୍ଗ ପାତ୍ରଙ୍ଗ ପାତ୍ରଙ୍ଗ ପାତ୍ରଙ୍ଗ ପାତ୍ରଙ୍ଗ ପାତ୍ରଙ୍ଗ ପାତ୍ରଙ୍ଗ



ନୀତିରେ କୌଣସି କାହାରେ କାହାରୁ କାହାରିଲା କାହାରିଲା...
କାହାରେ କାହାରୁ କାହାରିଲା କାହାରିଲା...
କାହାରେ କାହାରୁ କାହାରିଲା କାହାରିଲା...



ମୁଖ୍ୟତଃକ ଏହି ପାଇଁପାଇଁ ଯୁଦ୍ଧରେ ମେହିଂ ଯୁଦ୍ଧରେହୁଏ ଦେବମୀରତା;
ନାହିଁଲେଣି ଦେବମରିଗୁଣ୍ୟଭାବୀ କାଳମା କ୍ଷେତ୍ର ମହିନୀର କାର୍ଯ୍ୟପଦ୍ଧତି—
କର୍ତ୍ତରୀର୍ଥ କ୍ଷେତ୍ରର ମହିନମିଳିନ ଦେ ଦେବମିଶ୍ର 1/2 ପରି. କ୍ଷେତ୍ରକ
ଚାରିପଦ୍ମ କ୍ଷେତ୍ରର ମହିନମିଳିନ ଦେ ଦେବମିଶ୍ର “ଦେବମିଳିନ”
ଚାରିପଦ୍ମ. ମାତ୍ରା କ୍ଷେତ୍ରର ପାତାଫଳା. ମେହିଂ କାର୍ଯ୍ୟକୁ “ଦେବମିଳିନ”
କ୍ଷେତ୍ରର ଦେବମିଳିନ.



საათის 7-ზე ცემ უნავერსიტეტი ჩრაქტიკული გარჯიშობა, მაგრამ აქაც შემდეგი განცხადება წაიკითხა: „გადაიდგა შემდეგი დღისთვას“.

დაბრუნდა კოტე სახლში, სადამთხვე 9 საათზე — სახლი ვედარ გაასათა ნავთის უქთნლობის გამო. მოექალა თა თავის „გახურებულ“ ფეხზე და და წერ თცნება იმას შესახებ, თე რთგორა ჟარიგისცემით და უურადღებით ეშერთდა ქართველი დემოკრატიული საზოგადოება სწავლას და მთსწავლე სასამართლობის სტუდენტებს. (განხაგუთრებით სტუდენტებს).



ა მ ბ ა ვ ი

(ვისთვის საამო, ვისთვის საავო.).


მუშათა მორევში, რომელიც მუშათა კლუბის წინ არის გადაჭიმული, (პლეხანოვის პროსპექტზე) გუშინ ცხრა მოწინავე მუშა კინალამ დამხრჩალა.

კიდევ კარგი, რომ დროზე მოუსწრია გვარდიის მთავარ ექიმს ამხ. იოსებ ცინკაძეს, რომელსაც ამავე ტბის პირად აქვს იგრაკი და პირველ დახმარების აღმოჩენით სიკვდილისაგან უხსნია მუშათა მოძრაობისათვის საჭირო პირები.

როგორც გავიგეო „მუშათა მორევში“ მოხდარ ინცინდენტის გამო, ქალაქ ს გამგეობას დაუდგენია: „აკერძალოს მუშათა კლუბში“ მაგარი სასმელების ხმარება და ტბის ნაპირებზე დაიდგას

ფარნები და დაწესდეს მილიციონერთა და მენავეთა სადარაჯოები. ტბაში კი ჩაიშვას რამოდენიმე ნაცი.

ქალაქში იგრეთვე ხმა დადის, რომ „მუშათა ტბის“ ირგვლივ მომხდარ ინცინდენტში ჩარევას აპირებს დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, რომელიც თითქმ მოითხოვდეს ამ ტბის სრულ ამოშრობას. ამ ნიადაგზე ქალაქის თვითმმართველობასა და დამფუძნებელი კრების სოც. დემ. ფრაქციის შორის მოსალოდნელია კონფლიქტი და თუ ტბის ამოშრობა გადაწყდა სპირიდონ კედია დეპეშას გაუგზავნის მუშათა კლუბს: „ჩვენმა ცდამ გაიმარჯვაო“.



გ ა ნ ც ხ ა ჩ ე მ ე ბ ი

რუსთაველის ზრდის განვითარებას საქართველოში, კართული სახელმწიფო, სამართლებრივ და სამრეწველო
კანონის მიზნის სახელმწიფო სამართლებრივი სამსახური, სამართლებრივი და სამრეწველო
კანონის მიზნის სახელმწიფო სამსახური, სამართლებრივი და სამრეწველო

„ევრ-ივერია“

კანტორის მთავარი მიზანის ხელი შეუწყოს აღმშენებლობის და მრეწველობის განვითარებას საქართველოში, კანტორის დამოკიდებულება იქვე გერმანიისთვის და სულ მოკლე ხანში შეუძლიან მოწყობა წისქვილების, საღვურების, ქარხნების და ყოველივე სამრეწველო წირმოების.

კანტორის უკვე მიიღო გერმანიიდან სამეურნეო და სხვა ი რ ლები.

1-2.

ე. დ. გოსტორის მარიამ იგივე გოსტორის მარიამ

თბილისში, შრაბის ქუჩა № 6
გავხსენით მაღაზია. ვაჭრობა ყოველნაირა საქონლით. გვაქვს საწყობები. ვიღებთ საკომისიოთ გასასყიდათ ყოველ ნაირ საქონელს, როგორც წვრილობათ ეგრეთვე ბითუმათ. სულ ძალიან მოკლე ხნის განმავლობაში ვიღებთ გასასყიდათ ხალიჩებს, ოქრო ვერცხლეულობასა და ყოველ ნაირ ძვირებას თვლეულობას.

ყოველ ამნაირ მონდობილობას ჩვენი დამსახურებული ფირმა ასრულებს კარგათ და სვინდისიერათ.

ვ. დ. გოსტორი

სამანუჯაქტორით და სხვა
საქონლის გამეოდველი

კანტორი

დამფ. კრების და ნიკოლაევის
ქუჩების კუთხე № 1
ჩრდილოეთის ნომრების შირდაბირ.

1-4.

კართის მეცნახელთა ამნანაგობა

„ს უ ს ე რ ს ტ“

თბილისი, ქართული თამაშეებისა.

1-2.

„ე პ უ პ ა“

წარმოების ხაგბაზი:

1. კბილის ჟარაშვილი „შემწულისა“
2. სამთავრის შაზი „ბრიალა“
3. სახნის შუდრა.
4. დღეგთდონი და დუხი.

მოითხოვთ უკეთესობა.

გაყიდვა: ყორლანდების ქუჩა № 18, მეორე

სართული, ბინა № 3. ტელ. 8—26.

3½-საათიდან—4½ს-მდე.

1-2.

სერგოსიან უკელა!!!

ვისაცა სურს გემრიელი
შეჭამანდი კარგი;
(ჯიბის ამამჩატებელი
კუჭისათვის მარგი)
ვურჩევთ ნახოს „სიმართლეში“
ჩვენი ძველი სერგო;
(იმას ჩვენი გამოკვება
განვებისგან ერგო)
ტანალია ახოვანი
რაჭველური გვარითკ
დახლის ახლო უყვარს დფონა
სანვაგრს ჯარით:
ჩახობებილი ინდაური
მწვადი ცხელზე-ცხელი!
გოჭი შეპირქინებული
ოვალებ განახელი;
მწვანილების ლურჯი მდელო
ტურფა და ნარნარი.
ცხელი ხარჩო, ცხელი ღომი
თეთრად გადამდნარი.
ღვინო გამაცაცხლებელი
მრავალ გვარი ფირმის,
(არ აკლია ერთი სიტყვით
არცა ხორცი ირმის)
აი სერგოს ანდამანტი
თვისტენ. მიმშიდველი;
კუჭის გამახარებელი
ჯიბის დამჩუტველი—
მაშ სერგოსკენ! იაფია!
ნუ გაქვთ შურვა ბონის,
ილოდეთ, რომ კარგი ჭამა
მომცემია ღონის.

2-3

დაბეჭდა და გამოფიდა გასაუიდათ კალენდრები:
შედგენილი მ. გარემონდამის მიერ.

1921 წლის.

კედლის კალენდარი.

უქმები დაბრტყდილია წითელი სალებავით,
კარდანი ფერადია, ლიტოგრაფიული.

ჯიბის კალენდარი.

ქართველთათვის და სამეცნიეროს.

მოძრავი კალენდარი.

ქართულ-რესტლი, უქმები დაბჭდილია
წითელი საღებავით.

თვის კალენდარი.

დასტატებული, ქართულ-რესტლი. უქმები
დაბჭდილია წითელი საღებავით.

ლამფის უუზები

მუდმივ მეტალლიურ ჩარჩოში
ყალბი დამზადება აგრძალებია
მთავარი საწყობი (ბითუმად, ცალ-ცალქები)
მთელი კავკასიის თვის არის

6. ლგოტაკის

მაღაზია ში

მისამართი: თბილისი, თლილის ქუა № 3

საჭიროა უცელგან გამუიღველები

მინები ცულებისთვის და საბარეო ავტო-
მობილისათვის.

2-2

საუკათასო ნივთი

სამახსოვრო ანუ საჩუქრები

თვის მეტალის, მეგიბრების მეტალის, თანამოსამსახურებისთვის, სა-
ზოგადო და ბოლოიტკურ მოლდეჭითათვის, დეკობისთვის,
ქორწინების დღისთვის ან და სამასტეროდ საამურ მოგო-
ნებისა და სხვა. ეს არის 6 ასატი შევენივრად და ხელო-
ვენერად-გადადებული პატირა უოროგრაფიული სურათიდან
გემოგვიგზებით ჩვენ თქვენი ან იმპირისა ვისგანც გქონდეთ
სამასტერო. უოროგრაფიული ნიხიტი ფოტოთ.

ჩვენ გაცნობებთ რანცირიული აჯობებსნისატი და რაელირება

შევასრულებთ დაჩქარებით და კარგად —

შისამართი: ქ. თბილისი, ვერის დაღმირთი № 12

სამარტოებრ სხელოსნო „პალიტრა“

ა. ქ. პოვორიზნიკისა.

2-2

სასაფილო „რაჭა“

თუ „სიმართლე“ არის საღმე

ეს აქ არის აქ — „რაჭაში“,

(ვისაც „რაჭა“ არ სმენია

ის ყოფილა აღბათ ჭაში)

ღვენოები აქ იყითხეთ

იმერული თუ კახური;

თავის ბეღენე აღარ დარღობს

ჩვენი ღვინით შენახური.

თუ კი საღმე გაგონილა

ქათმდება თუ ხორცი ცხვარის —

გოჭი, მწვადი და საცვი —

ეს სულყველა ჩვენთან არის!..

ღიამ ჩვენ ვინ არ იცის

თუ გონდ დიდებული ხარჩო!

ნიადაგ დღე ჩვენთან დადის

ხარჩისათვის ჩვენი დარჩო.

სულგუნი და ჭყინტი ცველი

„ზარება არის სულის“

ვინც მოვიდა და მიირთვა

აღარა აქვს ჯაგრი ფულის.

მოღით, ნახეთ და დარწმუნდით

ფულს ნუ ზოგავთ კი — ნურავინ.


მაშ ნ შერცებს ჩვენი „რაჭა“

თუ გაგიშვათ მომდურავი.

ჩაწერილი ბ. გ-ს მიერ.

1-2.

ს ა გ ო ნ ე ბ ე ლ ი.



საფრანგეთი. (ვრანგელის განიავების შემდეგ) ამბობენ, ყველა გზას რომში მიჰყავსო... რუსები არ ითქმის... ნეტა რომელი გზით გავვზაენო?

“ე შ ე ა პ ი ს მ ა თ რ ა ხ ი”

თვეში ღირს 200 მან., ცალკე ნოჭერი უველვან 50 მან.

ურნალში დაიბეჭდება **გ ა ნ ც ხ ა დ ე გ ე ბ ი** შეღაბათიან ფარედაქციაში შეიძლება შემენა აგრეთვე დღემდე გამოსული ნომრების. სელის მოლებმა ფული შეძლებ მისამართით უნდა გამოგზავნონ: ოფილისი, რუსთაველის ან ჯერი, № 24. ეშმაკის მათრახისათვის. რედაქცია და კანტორა ღიაა 9—2 საათამდე